

შპს "ალტა სოფტვეარი" (ს/კ 211380708)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2019

აქტივები	შენიშვნა	12/31/2019	12/31/2018
შენობა-ნაგებობები	1	811,703.00	854,425.00
ძირითადი საშუალებები	1	160,732.00	163,012.00
არამატერიალური აქტივები	1	665,190.00	730,926.00
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,637,625.00	1,748,363.00
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2	518,612.00	8,723.00
სავაჭრო და დებიტორული დავალიანება	3	891,900.00	903,770.00
გადახდილი ავანსები	3	27,164.00	7,705.00
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	4	8,092,437.00	6,789,730.00
სულ მიმდინარე აქტივები		9,530,113.00	7,709,928.00
სულ აქტივები		11,167,738.00	9,458,291.00
ვალდებულებები			
სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებები	5	3,988,939.00	1,832,157.00
საგადასახადო ვალდებულებები	6	328,595.00	591,995.00
სასესხო ვალდებულებები	7		
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,317,534.00	2,424,152.00
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8	500,000.00	500,000.00
გაუნაწილებელი მოგება	8	6,350,204.00	6,534,139.00
სულ კაპიტალი		6,850,204.00	7,034,139.00
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		11,167,738.00	9,458,291.00

დირექტორი:

გ. ნიკოლაიშვილი

ბუღალტერი:

ს. წონანავა



შპს "ალტა სოფთვეარი" (ს/კ 211380708)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2019 წ-ის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

#	დასახელება	თანხა
შემოსავალი		
1	შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	15,090,401.00
2	ანაბრებიდან მიღებული პროცენტები	147,226.00
3	მოგება საკურსო სხვაობიდან	47,049.00
	<u>სულ შემოსავალი</u>	<u>15,284,676.00</u>
გასავალი		
1	გადახდილი ხელფასები	2,964,563.00
2	გადახდილი დივიდენდები	5,276,318.00
3	გადახდილი გადასახადები	4,413,623.00
4	სესხის გადახდა (ბანკი)	
5	გადახდილი %	1,878.00
6	ბანკის მომსახურების ხარჯი	
7	კომუნალური გადასახადები და სხვა ხარჯები	1,325,587.00
8	საწვდებო კაპიტალის შემცირება	
	<u>სულ გასავალი</u>	<u>13,981,969.00</u>
	ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	6,789,730.00
	ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	<u>8,092,437.00</u>

დირექტორი:

გ. ნიკოლაიშვილი

ბუღალტერი:

ს. წონონავა



შპს "ალტა სოფთვეარი" (ს/კ 211380708)

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლის და
გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

ანგარიში	შემოსავალი	თანხა
6,110	შემოსავალი რეალიზიციიდან	10,766,348.00
8,110	საპროცენტო შემოსავლები	147,226.00
8,130	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	
8,140	საკურსო სხვაობა (მოგებით)	378,557.00
	<u>სულ შემოსავალი</u>	<u>11,292,131.00</u>
	<u>ხარჯები</u>	
7,100	ძირითადი მასალებისა დანახარჯები/შეძენა	170,391.00
7,210	გაყიდული/შეძენილი საქონელი	198,816.00
7,310	რეკლამის ხარჯი	1,171.00
7,340	ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	763.00
7,390	მიწოდების სხვა ხარჯი	4,300.00
7,410	შრომის ანაზღაურება	3,883,377.00
7,411	მიგლინება	7,112.00
7,425	საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი	30,790.00
7,430	კომუნიკაციის ხარჯები	3,417.00
7,435	დაზღვევა	479.00
7,436	კომუნალური ხარჯი	32,173.00
7,440	რემონტის ხარჯი	4,518.00
7,445	კომპიუტერის ხარჯი	8,647.00
7,450	საკონსულტაციო ხარჯები	17,906.00
7,455	ცვეთა და ამორტიზაცია	231,301.00
7,465	სხვა საგადასახადო ხარჯი	9,949.00
7,490	სხვა საერთო ხარჯი	24,943.00
7,491	საპარტნიორო გადასახადი	4,713.00
7,492	სერვერული მომსახურება	64,961.00
7,493	საქვლმოქმედო ხარჯი	3,585.00
7,495	წარმომადგენლობითი ხარჯი	6,650.00
8,210	საპროცენტო ხარჯები	1,878.00
8,220	საკურსო სხვაობა (ზარალით)	229,979.00
8,290	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	108.00
	<u>სულ ხარჯი</u>	<u>4,941,927.00</u>
	<u>მოგება</u>	<u>6,350,204.00</u>
	მოგების განაწილება	
	<u>დარჩენილი მოგება</u>	<u>6,350,204.00</u>

დირექტორი:

გ. ნიკოლაიშვილი

ბუღალტერი:

ს. წონონავა



შენიშვნა 1 - ფიქსირებული აქტივები

ნაშთი 31 დეკემბერი 2018 წელი	1,748,363.00
მიწის ნაკვეთები	
შენობა-ნაგებობები	854,425.00
მანქანა-დანადგარები	
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	163,012.00
არამატერიალური აქტივები	730,926.00

ნაშთი 31 დეკემბერი 2019 წელი	1,637,625.00
მიწის ნაკვეთები	
შენობა-ნაგებობები	811,703.00
მანქანა-დანადგარები	
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	160,732.00
არამატერიალური აქტივები	665,190.00

შენიშვნა 2 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

#	დასახელება	31.12.2019 წ.
1	Power Gate - ENTRY	50,252.00
2	AC-Barrier Gate - BASIC	60,232.00
3	თერმული პრინტერის თავი	2,649.00
4	პარკინგის RFID ბარათები	4,190.00
5	Paystation PC Suite	8,301.00
6	Power Gate EXIT	46,072.00
7	კვების ბლოკი Power supply 240W	834.00
8	ლიცენზია MS	12,027.00
9	Lock handle Easy.Cash 4 edge handle	111.00
10	Cable W14/1-5 Easy.Cash	320.00
11	cable W14-02 incl. micro switch Easy.Cash	144.00
12	casing - bottom part coder Unlimited	1,204.00
13	belt set Coder Unlimited	523.00
14	Cleaning Kit Coder	555.00
15	Cleaning Kit APM & bill-validator	219.00
16	CO UNLIMITED CLEAN CARD	230.00
17	კამერა SMARTLPR ACCESS	56,013.00
18	ხრახნიანი ღერო (ანკერი)	254.00
19	cutter complete	412.00
20	კოდერის შუშა genuine glass BC C	167.00
21	კოდერის პრიზმა prism + covering	280.00
22	Compact Hopper 2 GEL	538.00
23	ფლეშკა ლიცენზიებით BirdWatch car Access	5,020.00
24	კაბელი ნაჭრის იზოლაციით	1,483.00
25	skiosk Smart 'Parking' ავტ. გადახდის აპარატი	155,102.00
26	Coder Unlimited 'Desktop'	9,625.00
27	Keydetector RD-KEYD	4,491.00
28	POS Scanner device 7580G	1,359.00
29	Parking.Logic / V12 (ლიცენზიები)	48,712.00
30	BOOM 4.5 RGB	2,043.00
31	Interface SKIDATA RETRO	595.00

32	BirdWatch ლიცენზია	25,738.00
33	Magnetic Lock	5,072.00
34	Lenovo IdeaCentre A340-22IGM AIO PC (Black)	1,025.00
35	Terminalbox	4,656.00
36	Smart CPU Tamonten KIT	3,362.00
37	კომპიუტერი Athlon 64 Socket AM2	325.00
38	კომპიუტერი 2	316.00
39	კომპიუტერი ATX/Pentium MB	232.00
40	ნოუტბუქი SAMSUNG NP-G10	231.00
41	ოფისის აღჭურვილობა	338.00
42	კომპიუტერი 3	119.00
43	კომპიუტერი Core 2 / MB	255.00
44	კომპიუტერი E6850 3GHz	272.00
45	კომპიუტერი CPU/ Core2 Duo/E6850 3GHz, 4M	604.00
46	კონდიციონერი SAMSUNG 24	229.00
47	კომპიუტერი Assembled/PC	900.00
48	LCD MONITOR/Samsung/ 23" (58cm)	548.00
49	კომპიუტერი Codegen M608-CA	433.00
		518,612.00

შენიშვნა 3 - სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება;

#	დასახელება	31.12.2019 წ.
1	მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბანი კრედიტი	552.03
2	შპს მისო "კონგინენტალ სითიკრედიტი"	3,812.39
3	სს "სილქ როულ ბანკი" (ყოფ. ბითიეი ბანკი)	4,301.55
4	'პროკრედიტბანკი'	9,631.89
5	სს "იბა ჯეო" (ყოფ. აზერბაიჯანის ბანკი საქართველო)	643.08
6	შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია piazza capital"	2.54
7	სს "პაშა ბანკი საქართველო"	655,236.43
8	სს "მირათ ბანკი საქართველო"	133.00
9	სს "მაიკრო ფინი"	79.61
10	სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "ალფა ექსპრესი"	3,939.33
11	შპს "ნანოკრედიტი"	22,770.41
12	შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი"	5,775.56
13	შპს "სოკარ ჯორჯია გაზი"	17,614.54
14	შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი"	7,265.73
15	შპს "ექსპრეს კაპიტალ +"	48.00
16	SKIDATA	21,907.15
17	შპს "სოლვა"	286.77
18	შპს "DGT"	802.05
19	შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გლობალ კრედიტი"	2,237.12
20	შპს სესხის გამცემი სუბიექტი "უნივერსალი"	3,329.89
21	შპს 'მიკროსაფინანსო ორგანიზაცია იმიკრედ ჯორჯია'	3,655.37
22	შპს "მისო ევრო კრედიტი"	13,623.43
23	შპს "ჯი-ეფ-ეს ჯგუფი"	806.89
24	შპს "ავგოჰაბი"	3,264.03
25	'ბაზისბანკი'	23,086.28
26	შპს "აჭარა ჯგუფი"	7,408.86
27	შპს "მანიქო"	1,296.23
28	შპს "ორჯ დადიანი"	18,605.93
29	ს/ს "ფინკა ბანკი საქართველო"	55,611.67
30	შპს "პრემიუმ კლას"	1,223.65
31	შპს "საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები" - TNT	680.00

32	სსიპ "საპენსიო სააგენტო"	1,093.00
33	შპს "ენერჯი სერვის გრუპ"	825.00
34	EBAY	350.83
	სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	891,900

შენიშვნა 4 - ფული და ფულადი ექვივალენტები

#	დასახელება	31.12.2019 წ.
1	ქართული ლარი	2,355,669.00
2	აშშ დოლარი	4,853,615.00
3	ევრო	883,153.00
	სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	8,092,437.00

შენიშვნა 5 - სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებები

#	დასახელება	31.12.2019 წ.
1	სს "თიბისი ბანკი"	1,024,980.00
2	სს "ქართული კრედიტი"	21,935.00
3	შპს "პროთელერ ჯორჯია"	674.00
4	სს "ლიბერთი ბანკი"	2,206,577.00
5	სს "სინერჯი კაპიტალი"	535.00
6	შპს "აი ჯი ლეველოუმენტ ჯორჯია"	678,629.00
7	შპს "ფოსტა ფეი"	959.00
8	სს "ტერაბანკი" (ყოფ. "კორ სტანდარტბანკი")	34,519.00
9	შპს "თბილისი ენერჯი" (ყოფ ყაზგრანსგაზი)	2,998.00
10	შპს მაგთიკომი	8,708.00
11	შპს "ჯორჯიან ექსპრესი"	107.00
12	SKIDATA	6,810.00
13	შპს "სმარტლი"	1,498.00
14	შპს "ქეისი"	10.00
	ჯამი	<u>3,988,939</u>

შენიშვნა 6 - საგადასახადო ვალდებულებები

#	დასახელება	31.12.2019 წ.
1	ერთიანი სახაზინო ანგარიში	328,595.00
	სულ საგადასახადო ვალდებულებები	328,595.00

შენიშვნა 7 - კაპიტალი

#	დასახელება	გაუნაწილებელი მოგება	საწესდებო კაპიტალი	ჯამურად
1	ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,534,139.00	500,000.00	7,034,139.00
2	საანგარიშო პერიოდის მოგება	6,350,204.00	-	6,350,204.00
3	დივიდენდის გაცემა	6,534,140.00		6,534,140.00
4	ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,350,203.00	500,000.00	6,850,203.00

დირექტორი:

ბუღალტერი:



გ. ნიკოლაიშვილი

ს. წონონავა

შპს "ალტა სოფთვეარი" (ს/კ 211380708)
განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. ზოგადი ინფორმაცია

- 1.1. შპს "ალტა სოფთვეარი" (შემდგომში „საზოგადოება“) დაფუძნებულია „მენარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია საბურთალოს რ-ნის სასამართლოს მიერ 1998 წლის 25 ნოემბერს, საიდენტიფიკაციო ნომრით: 211380708 .
- 1.2. საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:
- კომპიუტერული პროგრამების შექმნა;
- 1.3. საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

- 2.1. საზოგადოების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;
- 2.2. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 01 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის;
- 2.3. საზოგადოება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2018 წლის 01 იანვრიდან;
- 2.4. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც საზოგადოება იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ, საზოგადოების პირობებში არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკიგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა;
- 2.5. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლით კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული კურსით;
- 2.6. სასაქონლო-მატერიალური ფასულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. თვითღირებულების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილის მეთოდით;

- 2.7. საზოგადოება იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს და ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს; თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსხურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად;
- 2.8. არამატერიალური აქტივი არის კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ასახულია ნარჩენი ღირებულებით (თვითღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთა);
- 2.9. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.
- 2.10. მოთხოვნების მიწოდებიდან და მომსახურებიდან დარიცხვა ხდება ოპერაციის მოხდენისთანავე - დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება; შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როცა ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სათანადოდ შეფასება.
- 2.11. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ არიხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში ასახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში;
- 2.12. ხელფასის დარიცხვა ხდება შრომითი ხელშეკრულების მიხედვით. თანამშრომელს უკავდება საშემოსავლო გადასახადი და საპენსიო დანაზოგი, ხელზე იღებს დარჩენილ თანხას გადასახადების გადახდის შემდეგ;
- 2.13. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. საგადასახდო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული გადასახდის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით);
- 2.14. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. პარტნიორებს შეუძლიათ გაზარდონ საზოგადოების კაპიტალის ოდენობა დამატებითი შენატანებით და საზოგადოებაში ახალი პარტნიორის მიღებით. შენატანი საზოგადოების კაპიტალში შეძლება წარმოდგენილი იქნეს, როგორც ფულადი, ისე სხვა მატერიალური და არამატერიალური ქონების სახით.

2.15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია;

2.16. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოიცავს:

- ბალანსს ((შენიშვნებით);
- ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას.